

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სპეციალობის გამოცდა უტარდება მაგისტრანტობის მაძიებელს შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

რეგისტრაციისას მითითებული მიმართულებიდან საგამოცდო საკითხად მოდის 2 კაზუსი (თითოეულის შეფასება - 50 ქულა). გამოცდა წარმატებით ჩაბარებულად მიიჩნევა 50+1 ქულის მიღების შემთხვევაში.

გამოცდაზე ნებადართულია ნებისმიერი ნორმატიული მასალის გამოყენება.

საგამოცდო თემატიკა კაზუსისთვის:

1. კერძო სამართალი - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
2. საჯარო სამართალი
 - ა) საკონსტიტუციო სამართლის მიმართულება (1 კაზუსი სახელმწიფო მოწყობიდან, 1 კაზუსი ადამიანის ძირითადი უფლებებიდან) - საქართველოს კონსტიტუცია, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
 - ბ) ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
3. სისხლის სამართალი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

კერძო სამართალი

#1

თიკომ და ნინომ დადეს კომპიუტერის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, ნინოს თიკოსთვის უნდა გადაეხედა კომპიუტერის ღირებულება, 1 000 ლარის ოდენობით. თანხის სრულად გადახდის შემდეგ ნინოს მოუვიდა ელექტრონული შეტყობინება, რომლითაც ვინმე დათომ აუწყა მას, რომ კომპიუტერი მის საკუთრებას წარმოადგენდა და ნინოს იგი უკან უნდა დაებრუნებინა. ნინომ ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ მაქსიმალურად სწრაფად გაყიდა კომპიუტერი ლევანზე. დათომ გაიგო რა ამ ფაქტის შესახებ, მოსთხოვა ნინოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება ახალი კომპიუტერის შესყიდვის სახით, ხოლო ნინოსა და ლევანს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა. ნინომ დათოს განუცხადა, რომ ლევანთან მის მიერ დადებული ხელშეკრულება არ იყო ბათილი და მას არც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა. აღნიშნული დასაბუთება ნინომ მოახდინა კეთილსინდისიერების პრინციპის არსიდან გამომდინარე.

შეკითხვა: რამდენად მართებულია დათოს მოსაზრება, რამდენად სამართლებრივად დასაბუთებულია ნინოს პასუხი და რამდენად გააჩნია დათოს კომპიუტერის უკან დაბრუნების უფლება?

#2

ნინო გიანაშვილს ესაჭიროებოდა ბრმა ნაწლავის ოპერაცია. მას იმდენად ატკივდა ბრმა ნაწლავი, რომ თავისი ფეხითაც ვერ შეძლო საავადმყოფოში მისვლა, არამედ გამოიძახა სასწრაფო დახმარება და ავტომანქანის საშუალებით გადაადგილდა.

საავადმყოფოში მისვლისას, როდესაც მას ამზადებდნენ საოპერაციოდ, მიუტანეს ხელშეკრულება, რომელშიც აღნიშნული იყო ოპერაციის პირობები. ექიმმა თან განუმარტა არსებითი საკითხები, როგორცაა: ა) რისკები, ბ) გვერდითი მოვლენები, გ) ოპერაციის ხანგრძლივობა და სხვ. აღნიშნული მოისმინა ნინო გიანაშვილმა და ისე, რომ არც ამდგარა და არც გადაუკითხავს დოკუმენტი, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას.

ხელშეკრულების წაკითხვა აღარ ჩათვალა საჭიროდ ნინო გიანაშვილმა, თან კმაყოფილი იყო ხელშეკრულების პირობების ახსნით. ამდენად, იგი მშვიდად შევიდა საოპერაციოდ. ოპერაციას მართლა მოჰყვა გართულება, თუმცა ეს სამდღიან საავადმყოფოში დარჩენაში (ექიმის ზედამხედველობის ქვეშ) გამოიხატა. შედეგად, როდესაც მესამე დღეს ნინო ეწერებოდა საავადმყოფოდან, მას მიუვიდა ინვოისი, რომელშიც ძალიან დიდი ციფრი ეწერა. ნინოს არ მოეწონა აღნიშნული და მოითხოვა საავადმყოფოსგან განმარტების მიღება. საავადმყოფოს განცხადებით, ხელშეკრულებაში იყო პირობა: „ოპერაციის შემდგომი გართულების შემთხვევაში, პაციენტი თანახმაა კურსი ჩაიტაროს VIP პალატაში“. სწორედ ამაზე დაყრდნობით, VIP პალატაში მოაქციეს პაციენტი ექიმებმა. ნინოს არ მოეწონა აღნიშნული და მოითხოვა დასახელებული პირობის მის სასარგებლოდ განმარტება ან ბათილობა.

შეკითხვა: დააკვალიფიცირეთ ნინო გიანაშვილისა და საავადმყოფოს პოზიციები.

#3

შპს „თბილისმა“ და შპს „ქუთაისმა“ დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ მიუთითეს მცხეთის რაიონული სასამართლო. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში, მისი შესრულების ადგილად მიიჩნეოდა რუსთავი.

შპს „ქუთაისმა“ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის საფუძველზეც, შპს „თბილისმა“ გადაწყვიტა, რომ მიემართა სასამართლოსთვის. შპს „ქუთაისის“ იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი იყო ქუთაისში. შესაბამისად, შპს „თბილისი“ დადგა დილემის წინაშე: შეეტანა სარჩელი ა) ქუთაისში, ბ) რუსთავში თუ გ) მცხეთაში.

შეკითხვა: დააკვალიფიცირეთ და განმარტეთ შპს „თბილისის“ მოქმედება თითოეულ შემთხვევაში. კერძოდ, რა შედეგები დადგება და რატომ, თუ იგი სარჩელს შეიტანს ქუთაისში, რუსთავში, მცხეთაში.

#4

გიორგი რაფავასა და ნინო ლაღანიძეს შორის არსებული დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდა ნინო ლაღანიძის გამარჯვებით (სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად). შესაბამისად, გიორგი რაფავამ გადაწყვიტა, რომ სააპელაციო წესით გაესაჩივრებინა მიღებული გადაწყვეტილება.

სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას მას განუმარტა, რომ გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, იგი უნდა გამოცხადებულიყო სასამართლოში, რათა მას ჩაბარებოდა დასაბუთებული გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ასევე აუხსნა სასამართლომ, გასაჩივრების ვადების თაობაზე. გიორგი რაფავა გამოცხადდა სასამართლოში 27-ე დღეს, მაგრამ მან ვერ მიიღო დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამის შემდეგ, იგი ყოველ დღე მიდიდოდა სასამართლოში და ითხოვდა გადაწყვეტილებას, მაგრამ ვერ მიიღო. სასამართლომ განუმარტა გიორგი რაფავას, რომ კიდევ არანაკლებ 20 დღე ვერ მისცემდა მას გადაწყვეტილებას. ამ დღეების გასვლით კი, გიორგი რაფავას გასაჩივრების ვადა გადიოდა. შესაბამისად, გიორგი რაფავას სურს, მიიღოს კომპეტენტური სამართლებრივი დასაბუთება.

შეკითხვა: რა სახის რჩევას მისცემდით გიორგი რაფავას და რა გარემოებაზე (სამართლებრივ საფუძველზე) დააფუძნებდით თქვენ ამ რჩევას?

საჯარო სამართალი

საკონსტიტუციო სამართლის მიმართულება

#1

გიორგი სახოკიამ ამომრჩეველთა დაჟინებული მოთხოვნით გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში. ცესკომ მას უარი უთხრა კანდიდატად დარეგისტრირებაზე, რადგან უკვე ორჯერ ეკავა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა.

შეაფასეთ შემთხვევა და იმსჯელეთ, რამდენად მართებულია ცესკოს გადაწყვეტილება?

#2

ქ. გორის საკრებულომ არ დაამტკიცა ქ. გორის ბიუჯეტი. ამის გამო საქართველოს პრეზიდენტმა გორის საკრებულოს შეუწყვიტა უფლებამოსილება. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტისთვის, რომელმაც უზენაესის სასამართლოსგან გამოითხოვა დასკვნა პრეზიდენტის ქმედების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე კენჭი უყარა პრეზიდენტის იმპიჩმენტს.

შეაფასეთ შემთხვევა.

#3

საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ცვლილებების მიხედვით, საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთა წლიური შემოსავალი 1 მილიონ ლარზე მეტია, დადგენილ საშემოსავლო გადასახადზე 2%-ით მეტს გადაიხდიან. ამ თანხით საქართველოს მთავრობა გეგმავს სოციალურად შეჭირვებულთა დახმარების პროგრამების დაფინანსებას.

საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მხეიძემ, რომლის წლიური შემოსავალი რამდენიმე მილიონს აჭარბებს, საკანონმდებლო ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა.

შეაფასეთ შემთხვევა (განსაზღვრეთ, რომელი ტესტით უნდა იხელმძღვანელოთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით და შერჩეული ტესტის მიხედვით იმსჯელეთ უფლების დარღვევაზე).

#4

პარლამენტის გადაწყვეტილებით, პირი საკასაციო სასამართლოს ვერ მიმართავს, თუკი წარმომადგენლად ლიცენზირებული ადვოკატი არ ეყოლება. ავსტრიის მოქალაქე კლაუს შროდერმა, რომელიც უკმაყოფილოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში და წარმომადგენლად მისი ქართველი ბიზნესპარტნიორი, პროფესიით ეკონომისტი დანიშნა. სასამართლომ არ მიიღო საჩივარი პარლამენტის შესაბამისი ცვლილების საფუძველზე. შროდერს მიაჩნია, რომ კანონმდებლობის მსგავსი დებულება მის უფლებებს არღვევს.

შეაფასეთ შემთხვევა თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება

#1

თბილისის მერსა და შპს „ქალაქმშენს“ შორის შედგა წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმად, შპს-მ იკისრა ვალდებულება გაესუფთავებინა დედაქალაქის გარეუბანში მდებარე 5 ჰექტარი ფართობის ტერიტორია, გაემწვანებინა ის და მოეწყო გასართობი პარკი. თავის მხრივ მერიის მოვალეობად განისაზღვრა აღნიშნულ ტერიტორიაზე საავტომობილო და საფეხმავლო გზების მშენებლობა შპს „ქალაქმშენის“ 20%-იანი თანადაფინანსებით. შპს-ს მიერ გაწეული ხარჯების სანაცვლოდ თბილისის მერია აღნიშნულ უბანში შპს-ს უსასყიდლოდ გამოუყოფდა ტერიტორიას ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად.

შპს „ქალაქმშენმა“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ თბილისის მერიის ქონების მართვის სამსახურმა შპს-ს გამოუყო მიწის ფართი კომერციული მიზნით მშენებლობის საწარმოებლად.

შპს-მ აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელების ნებართვის მოპოვების მიზნით მიმართა მერიის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ სამსახურს. აღნიშნულმა ადმინისტრაციულმა ორგანომ შპს-ს გაუგზავნა წერილობითი პასუხი, რომლითაც უარი უთხრა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ქალაქდაგეგმარების დოკუმენტი განცხადებაში მითითებულ რეკრეაციულ ზონაში არ უშვებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების აშენებას და თბილისის მერის მიერ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულება არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის მარეგულირებელი ნორმებისგან გადახვევის საფუძველს.

შპს „ქალაქმშენი“ ითხოვს ნებართვის გაცემას, რამდენადაც მას კანონიერი ნდობა წარმოემვა თბილისის მერთან მიღწეული შეთანხმების მიმართ და მან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება, ხოლო შეთანხმების შეუსრულებლობით მას მიადგა ზიანი.

განსაზღვრეთ:

1. შპს-ს და თბილისის მერს შორის მიღწეული შეთანხმების სამართლებრივი ფორმა.
2. მერიის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი საქალაქო სამსახურის უარის სამართლებრივი ფორმა.
3. მერიის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი საქალაქო სამსახურის უარის კანონიერება.

#2

თბილისის მერიამ გამოაცხადა აუქციონი ქალაქის ერთ-ერთ უბანში არსებული ტერიტორიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად. აუქციონის პირობა ითვალისწინებდა, რომ აუქციონში გამარჯვებულ პირს უნდა მოეწყო 1500 კვ.მ-ზე

დასასვენებელი სკვერი, საბავშვო ატრაქციონებით (საქანელები, სასრიალოები და ა.შ.) და სპორტული მოედანი შესაბამისი ტრენაჟორებით.

აუქციონში გაიმარჯვა შპს „კრეატივ-ჯგუფმა“, რომელთანაც თბილისის მერიამ 2018 წლის 10 ნოემბერს დადო ხელშეკრულება სამუშაოების ჩატარების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, შპს ვალდებული იყო, მოეწყო ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის სკვერი, უსაფრთხო საბავშვო ატრაქციონები და გამართული სპორტული ტრენაჟორები. ამასთან, კომპანია ვალდებული იყო სამუშაოების დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში პერიოდული მონიტორინგი ჩატარებინა ტერიტორიაზე და გაეკონტროლებინა ყველანაირი აღჭურვილობის უსაფრთხოდ ფუნქციონირება. თავის მხრივ, მერიამ აიღო ვალდებულება, რომ იჯარით გადასცემდა ამ ტერიტორიის ნაწილს კომპანიას, სადაც მას შეეძლო კომერციული ფართის მოწყობა.

შპს-მ შეასრულა ვალდებულება და 2019 წლის 15 მარტისთვის შეთანხმებულ ტერიტორიაზე მოაწყო სკვერი, ატრაქციონებითა და სპორტული ინვენტარით. ხოლო როდესაც მან მოგვიანებით მიმართა თბილისის ქონების სააგენტოს (რომელიც წარმოადგენდა უფლებამოსილ ორგანოს მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვაზე) დაპირებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე, სააგენტომ უარი უთხრა მას ფართის გადაცემაზე, რამდენადაც სააგენტოსთვის არ იყო წინასწარ ცნობილი შპს-სა და მერიას შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ და სააგენტოს გეგმაში ჰქონდა ამ ტერიტორიის სხვა მიზნით გამოყენება.

სკვერთან ახლოს მცხოვრებმა მიხეილმა 2019 წლის 20 მაისს გადაწყვიტა შვილიშვილთან ერთად გასეირნება და მიაშურა ახალგახსნილ სკვერს. საბავშვო ატრაქციონით დაინტერესებულმა პატარა ნიკუშამ სიხარულით მიაშურა საქანელას, თუმცა სულ რამდენიმე წუთის შემდეგ საქანელას მთავარი ჯაჭვი მოწყდა კონსტრუქციას, რის შედეგადაც ნიკუშა გადმოვარდა და მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება. ბაბუამ ის სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანა კლინიკაში, სადაც ბავშვა 1 კვირა დაჰყო და მკურნალობის ხარჯმა შეადგინა 2000 ლარი.

შოკისგან გონს მოსულმა მიხეილმა 10 ივნისს საჩივრით მიმართა მერიას და მოითხოვა 2000 ლარის ზიანის ანაზღაურება, რასაც ასაბუთებდა იმით, რომ ბავშვმა დაზიანება მიიღო გაუმართავი ატრაქციონის გამო.

1. იმსჯელოთ მერიასა და შპს-ს შორის დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებაზე.
2. იმსჯელოთ ხელშეკრულების კანონიერებაზე.
3. იმსჯელოთ მიხეილის მოთხოვნის ფორმასა (რა უნდა მოეთხოვა მიხეილს) და სამართლებრივ საფუძველზე.

სისხლის სამართალი

#1

დავით ვახტანგიშვილი დააკავეს ტერორიზმის ბრალდებით. 2019 წლის 30 მაისს, მაგისტრატმა მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა, ხოლო წინასასამართლო სხდომის თარიღად განსაზღვრა იმავე წლის 20 აგვისტო. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 6 დღით ადრე პროკურორმა სრულად გადასცა მტკიცებულებები დაცვის მხარეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე წარადგინა სასამართლოში. წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ იმსჯელა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხზე, რის შემდეგაც თავისი ინიციატივით, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე განიხილა დავით ვახტანგიშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება, რომ მის ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება უნდა შეცვლილიყო ნაკლებად მკაცრი ღონისძიებით, კერძოდ გირაოთი. აღნიშნულის შემდეგ, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საქმე არსებითად განსახილველად გადასცა სასამართლოს და სხდომის თარიღად განსაზღვრა 10 სექტემბერი. არსებითი განხილვის სხდომამდე, მხარეები შეთანხმდნენ საპროცესო შეთანხმების პირობებზე და პროკურორმა სასამართლოს მიმართ შუამდგომლობით საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსამართლემ განიხილა პროკურორის შუამდგომლობა და უარი უთხრა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე შემდეგი მოტივებით: 1) საპროცესო შეთანხმების გაფორმება სამართალწარმოების ამ ეტაპზე უკვე დაგვიანებული იყო, ვინაიდან შეთანხმება უნდა მომხდარიყო გამოძიების ეტაპზე ან მაქსიმუმ წინასასამართლო სხდომაზე და 2) დანაშაული იყო სპეციფიური, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის და ეხებოდა ტერორიზმის ფაქტს, რაც თავისთავად გამორიცხავდა ამ მუხლით ბრალდებულ პირთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას. პროკურორმა 14 დღეში გაასაჩივრა მოსამართლის გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში.

შეაფასეთ პროკურორის და სამივე მოსამართლის - მაგისტრატი მოსამართლის, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის და საქმის არსებითად განხილველი მოსამართლის ქმედებების მართლზომიერების საკითხი.

#2

ბრალდებული ნინო ცაავა თავს არიდებდა გამოძიებას, რის გამოც პროცესები წარიმართა მის დაუსწრებლად და 2019 წლის 10 იანვარს, პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა 2 წლის ვადით. 3 თვის შემდეგ იგი იქნა დაკავებული და შესახლებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, რის შემდეგაც, ადვოკატთან შეთანხმებით გაასაჩივრა სასამართლოს

ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში. საჩივარში ბრალდებულმა მიუთითა, რომ განაჩენი იყო უკანონო იმის გამო, რომ მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, რაც წარმოადგენდა ხელახალი წარმოების დაწყების საფუძველს, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოება.

სააპელაციო სასამართლომ 10 დღის ვადაში მიიღო გადაწყვეტილება დაეშვა სააპელაციო საჩივარი და სრულად დაეკმაყოფილებინა წინო ცაავას მოთხოვნა საქმის ხელახლა განხილვასთან დაკავშირებით.

იმსჯელეთ წინო ცაავას და სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის ქმედებების კანონთან შესაბამისობის საკითხებზე.

#3

2019 წლის 15 მარტს, 15:00 საათზე, გამომძიებელი დავით ლიქოკელი, რომელიც აწარმოებდა სამსახურებრივ შემოვლას, დაინახა მოხუცი ქალი, რომელიც კიოდა: მიშველეთ, გამძარცვა, ჩემი ოქროს ძეწკვი და ხელჩანთა წაიღო, და ხელს იშვერდა კონკრეტული მიმართულებით. გამომძიებელს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თვალთ არ დაუნახავს არც უშუალოდ ძარცვის მომენტი და არც თავდამსხმელი, ქალის ნათქვამი სარწმუნოდ მიიჩნია და გაიქცა იმ მიმართულებით, საითაც ქალი მიუთითებდა. გამომძიებელი გაქცეულს დაახლოებით 200 მეტრის გარბენის შემდეგ დაეწია და ვინაიდან ხელში ქალის ხელჩანთაც შეამჩნია, ადგილზე დააკავა. გამომძიებელმა დაკავებულს განუმარტა მისი უფლებები და ჩაუტარა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოუღო ოქროს ძეწკვი, ხოლო მარცხენა ხელიდან - ქალის მცირე ზომის ხელჩანთა. გამომძიებელმა შეადგინა 2 ოქმი, ერთი დაკავების, ხოლო შემდგომ - პირადი ჩხრეკის, რის შემდეგაც დაკავებული გადაიყვანა პოლიციის განყოფილებაში. განყოფილებაში დაკავებული 3 ანალოგთან ერთად ამოსაცნობად წარუდგინეს დაზარალებულს, რომელმაც კატეგორიული დამაჯერებლობით ამოიცნო თავდამსხმელი. ამოცნობის შემდეგ დაკავებული გადაიყვანეს დროებითი მოთავსების ობოლატორში, 18:00 სთ-ზე, დაზარალებული კი გამოკითხეს, რომელმაც თავდამსხმელის გარეგნობა ზუსტად აღწერა.

პროკურორმა იმავე დღეს, 19:00 საათზე გამოიტანა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ, რაც გამომძიებელმა გააცნო 2019 წლის 17 მარტს, 17:00 საათზე.

2019 წლის 17 მარტს, 17:30 საათზე პროკურორმა სასამართლოს მიმართა დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით.

სასამართლომ იმსჯელა დაკავებულის უფლებებზე და განმარტა, რომ ვინაიდან სსსკ-ის თანახმად დაკავების მაქსიმალური ვადა 72 საათია, ბრალდებულის უფლებათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

იმსჯელეთ გამომძიებლის, პროკურორის და მოსამართლის ქმედებების კანონიერებაზე.

4

2019 წლის 01 აპრილს, 14 წლის ლუკა გაბუნია დარეკა პოლიციის განყოფილებაში ანონიმური ნომრიდან და განაცხადა, რომ თბილისის N120-ე საჯარო სკოლაში დამონტაჟებული იყო ბომბი. გამომძიებელმა დაიწყო გამოძიება, რომლის მსვლელობისასაც დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ სკოლაში ბომბი არ იყო. ასევე გამოიკითხნენ სკოლის მოსწავლეები, რა დროსაც სამმა მოსწავლემ განაცხადა, რომ თავად მოისმინეს, როგორ ტრაბახობდა ლუკა გაბუნია იმის გამო, რომ პოლიცია გააბრეცვა. ლუკა გაბუნია უარყო ყველაფერი, თუმცა გამომძიებელმა მიიღო მისი დაკავების გადაწყვეტილება და 2019 წლის 05 აპრილს, 13:00 საათზე დააკავა.

პროკურორმა საქმის შესწავლის შემდეგ ლუკა გაბუნია გაათავისუფლა დაკავებიდან იმ საფუძველით, რომ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ. გაათავისუფლებულ ლუკა გაბუნიას მიმართ პროკურორმა ბრალდების შესახებ დადგენილება გამოიტანა 2019 წლის 07 აპრილს, 12:00 საათზე, რაიმე დამატებითი მტკიცებულების გარეშე, ხოლო გამომძიებელმა აღნიშნული დადგენილება გააცნო და ბრალი წარუდგინა 2019 წლის 08 აპრილს, 15:00 საათზე.

იმსჯელეთ გამომძიებლის და პროკურორის ქმედებების მართლზომიერების საკითხზე.

5

ნესტანმა და გუჯამ გადაწყვიტეს ყაჩაღობის ჩადენა ტექნიკის ერთ ერთ მაღაზიაში. ისინი ღამით შეიჭრნენ მაღაზიაში, თავს დაესხნენ დარაჯს, შეუკრეს ხელ-ფეხი და თავზე წამოაცვეს ტომარა. ისინი უშვებდნენ, რომ ასეთ სიტუაციაში დარაჯი შეიძლებოდა გაგუდულიყო და მომკვდარიყო, თუმცა იმედოვნებდნენ, რომ დარაჯი თავს მალევე დაიმკვრენდა და სანამ ისინი თავიანთ ყაჩაღურ განზრახვას სისრულეში მოიყვანდნენ თავს დაიხსნიდა. მათი ვარაუდი არ გამართლდა და დარაჯი მოკვდა.

იმსჯელეთ რა ქმედებისთვის დაისჯებიან ნესტანი და გუჯა?

6

სანაპიროზე სეირნობისას ნიკომ შენიშნა, რომ უცხო მამაკაცი მიუხედავად ქალის წინააღმდეგობისა, იძულების სქესობრივ კავშირს ამყარებდა მასთან. ნიკო ამ სურათის შემხედვარე ჩავარდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში და ვინაიდან ქალის დაცვის სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნდა სიცოცხლე მოუსპო მოძალადეს.

შეაფასეთ სამართლებრივად შეაფასეთ ნიკოს ქმედება

#7

სერგი ამაშუკელმა გადაწყვიტა აკაკი მურვანიძესთან ჩხუბის დროს მისი მოკვლა გადაწყვიტა. იქიდან გამომდინარე, რომ ამაშუკელის მეგობარი დაჩანიძე ფიქრობდა, რომ სხვაგვარად ამ შედეგს თავიდან ვერ აიცილებდა დაარწმუნა, რომ მოკვლის ნაცვლად მხოლოდ ჯანმრთელობა დაეზიანებინა მისთვის. ამაშუკელმა მართლაც გადაიფიქრა და დანის გამოყენებით დაჭრა მურვანიძე, რამაც მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია.

იმსჯელეთ შეერაცხება თუ არა ობიექტურად ეს ქმედება სერგი ამაშუკელის მეგობარს - დაჩანიძეს.